1 სექტემბერი

ორშაბათი
2025

1თეს 4,13-18; ფს 95; ლკ 4,16-30

ქმნილების დღე

ეაამხნევეთ ერთმანეთი ამ სიტყვებით 1თეს 4,18

მოციქული აღდგომაზე ლაპარაკობს, ჩვენს აღდგომაზე! სურს, რომ ქრისტიანები ხედავ-დნენ მამის უკიდეგანო სიყვარულს და იე-სოს მადლს. გარდაცვალების შემდეგ ჩვენც საუკუნო სიცოცხლის სისრულეში, ანუ ღმე-რთის სიყვარულში ვიცხოვრებთ. ამ შეგნებით დავძლევთ სიკვდილის შიშს... როგორ ველით ამ წუთებს!

2 სექტემბერი

სამშაბათი

2025

1თეს 5,1-6. 9-11; ფს 26; ლკ 4,31-37

რვენს დასაღუპად მოხვედი? ლკ 4,34

ამ კითხვას უსვამენ იესოს! კარგად გვესმის, რომ ეს მკრეხელობაა და ისიც ვიცით, ვინ იტყოდა ამას. იესოს ხვდება და არც უბრაზ-დება ამ სიტყვების მთქმელს, არამედ მას, ვინც ამ სიტყვებზე აგებს პასუხს. ამიტომაც უბრძანებს მას: “გაჩუმდი და გადი მისგან”. სალოცავში იყვნენ. მტერი აქაც შემოპარულა!

3 სექტემბერი

ოთხშაბათი

2025

რიგითი ჟამის XXII კვირა [II]

წმ. გრიგოლ დიდი, პაპი, ეკლესიის მოძღვარი, +604 (12 მარტს) რომში, (მ), თ;

(21.VIII) წმ. სარმეან კათ., +779; / წმ. ღ. თადეოზ (თათე) სტეფანწმიდელი, მონაზ., VIს

კოლ 1,1-8; ფს 51; ლკ 4,38-44

დიდძალი ხალხი ექებდა მას ლკ 4,42

იესო უდაბურ ადგილას წავიდა. წინა საღამოს ყველა სნეული, ვინც კი მასთან მიიყვანეს, განკურნა. გამთენიისას კი სალოცავად გადის. ის და მამა ერთია: მამისგან იღებს რჩევებს და ძალას. დიახ, მას ყველა უყვარს, მაგრამ ზოგჯერ ვერ აოკებს მათ. მამამ გაუმჟღავნა, რომ მისი მისია მხოლოდ სნეულთა განკურნება როდია, არამედ მისი სამეფოს გაცხადება კიდით კიდემდე!

4 სექტემბერი

ხუთშაბათი
2025

კოლ 1,9-14; ფს 97; ლკ 5,1-11

შენს სიტყვაზე ვისვრი ბადეს ლკ 5,5

პეტრეს არაგონივრულად მიაჩნია ბრძანება, რომელსაც იესო გასცემს. თუმცა მისთვის სანდოა თავად იესო, ამიტომაც, ბავშვური თავმდაბლობით და უბრალოებით ემორჩილება მას. ეს მორჩილება მთელ მის ცხოვრებას შეცვლის: უფრო ძირეულად შეიცნობს თუ ვინაა იესო მისთვის და მთელი წუთისოფლისთვის!

5 სექტემბერი

პარასკევი

2025

რიგითი ჟამის XXII კვირა [II], მწ

წმ. დედა ტერეზა კალკუტელი, მოწყალების მისიონერ დედათა კონგრეგაციის დამაარ-სებელი +1997 კალკუტაში (ინდოეთი)

კოლ 1,15-20; ფს 99; ლკ 5,33-39

დ. ტერეზას დების კონგრეგაციის დღესასწაული

იესო უპირველეს ყოველისა

კოლ 1,17

წმინდა პავლეს სურს გაგვაცნოს იესო, ვისაც ასე საკვირველი სახით შეხვდა დამასკოსაკენ მიმავალ გზაზე. ძვირფასია იესო, რამეთუ ღმერთი მკვიდრობს მასში ისინი ერთნი არიან. ღმერთის შეცნობა ხომ მხოლოდ მასთან, იესოსთან შეხვედრით ხდება. ასევე ყოველივე, რაც კი ღმერთს შეუქმნია, მის კვალს ატარებდეს!

კოლ 1,21-23; ფს 53; ლკ 6,1-5

მან შეიერიგათ მისი სხეულის ხორცში კოლ 1,22

იესომ იხილა ჩვენი – ადამის მოდგმის უბადრუკი ყოფა: ღმერთს ვმტრობდით, ვეურჩებოდით. მაშ რად ინება ჩვენთან შერიგება? სიყვარული ამოძრავებდა! და როგორ შეძლო ეს? ზვარაკად იქცა, რათა ჩვენში რწმენა და იმედი გამოეწვია.

7 სექტემბერი

კვირა

2025

რიგითი XXIII კვირადღე, «გ», [III], მწ

სიბრძ 9,13-18; ფს 89; ფილიმ 9-10.12-17; ლკ 14,25-33

ვინცა არ აღარებს ჯვარს...
ვერ იქნება ჩემი მოწაფე ლკ 14,27

იესო დიდძალ ხალხს ხედავს, მასთან ყოფნის სურვილი რომ გასჩენიათ. რა ამოძრავებს მათ? ჭეშმარიტი რწმენა და სიყვარული თუ სასწაულებით მოგვრილი სიკეთით ტკბობა? ამის განსჯაში ეხმარება მათ. ყველაფერი, რასაც მოიმოქმედებს, განსჯილი, აწონილ-დაწონილი უნდა იყოს: ვისაც კოშკის აგება გადაუწყვეტია, გამოთვლის, აქვს თუ არა საკმარისი თანხა დასამთავრებლად. გინდა იესოს გზას გაჰყვე? შეძლებ, თუკი მზად ხარ მასთან ერთად ახვიდე გოლგოთაზე.

8 სექტემბერი

ორშაბათი
2025

შობა ნეტარი მარადქალწული
მარიამისა დ, [ს], თ

მიქ 5,1-4a ან, რომ 8,28-30; ფს 12; მთ 1,1-16.18-23

ვალეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა;
ბათუმის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

მასში რასახული ბავშვი სულიწმიდისგანაა მთ 1,20

დღეს ღმერთისგან ბოძებულ წყალობას აღ-
ვნიშნავთ: ღვთისმშობელ მარიამს. ღმერთის
ძის განსახორციებლად, დედაკაცი იყო სა-
ჭირო. და აჰა, მარიამიც. გვიყვარს, როგორც
ღმერთის წყალობა, კურთხეული კურთხეულ
ძესთან ერთობაში და მთელი წუთისოფლის
მაკურთხებელი. მასში აღიძვრის სულიწმიდა
და მადლით აღავსებს მას.

9 სექტემბერი

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXIII კვირა [III], მწ

წმ. პეტრე კლავერი, ხუცესი, ესპანელი იეზუიტი, შავკანიან მონათა მოციქული, +1654 კოლუმ-ბიის კართაგენში

კოლ 2,6-15; ფს 144; ლკ 6,12-19

აღდექით ღვთის ძალისაღმი რწმენით კოლ 2,12

წმიდა პავლე დასძენს: მას შემდეგ, რაც ღვთის ძე განგვიცხადა, ცდილობს გვითხრას, თუ ვინა ვართ ჩვენ, მისი მორწმუნენი. ჩვენ ღმერთის ძალის ნაყოფი ვართ და ამიტომაც, ვიფრთხილებთ, რომ არ მოვტყუვდეთ წარ-მავალი იდეებით და წეს-ჩვეულებებით: ასე ხომ ფუჭად ვაქცევთ მამის წყალობას – მის ძეს, ჭეშმარიტი სიცოცხლის წყაროს.

10 სექტემბერი

ოთხშაბათი

2025

(28.VIII) წმ. შუშანიკი, მოწამე, +475, (მ), წ

კოლ 3,1-11; ფს 144; ლკ 6,20-26

დიდია თქვენი საზღაური ლკ 6,23

ამ საზღაურს ისინი მიიღებენ, ვინც იესოს სიყვარულის გამო შეურაცხყოფას და ცილისწამებას, უსამართლობას და სიძულვილს გადაიტანენ. რომელია ეს საზღაური? ცათა სასუფევლი! ისინი ღმერთის სიყვარულს მიიტანენ სამყაროში, რომელიც მათი წყალობით შეიცვლება და იმ წარმტაც ადგილად იქცევა, სადაც ადამიანები საბოლოოდ ერთურთს შეიყვარებენ.

11 სექტემბერი

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის XXIII კვირა [III], მწ

კოლ 3,12-17; ფს 150; ლკ 6,27-38

ყო-ველი-ფე ქააქეთეთ უფალ იესოს სახელით კოლ 3,17

უფალი იესოს სახელი კაცთა მიმართ სიყვარულს აცხადებს. ეს სახელი ნიშნავს: "ღმერთი იხსნის"! ყველაფერი, რასაც აღვასრულებთ, – მოგვიწოდებს წმიდა პავლე, – აღვასრულოთ როგორც მამის სიყვარულის ძღვენი მათ მიმართ, ვისაც ღმერთის სიყვარული სჭირდება.

12 სექტემბერი

პარასკევი

2025

მარიამის წმიდა სახელი

1ტიმ 1,1-2.12-14; ფს 15; ლკ 6,39-42

ვანა შეძლებს ბრმა ბრმის მეგზურობას? ლკ 6,39

იესო ამ იგავს მას შემდეგ ჰყვება, რაც თავის მიმდევრებს უპირობო სიყვარულისკენ მოუწოდებს: რათა უყვარდეთ საკუთარი მტრებიც, დალოცონ თავიანთი მაწყევრები, მოწყალება გაიღონ ყველაზე. ბრმაა ის, ვინც ამ სიყვარულს არ განიცდის, შენ კი, წინ მიგიძღოდეს იგი, რათა ორმოში არ ჩავარდე, და მოემზადე, რათა გულმოწყალების საქმეებით, საიმედო შემწედ მოევლინო ადამიანებს.

წმ. იოანე ოქროპირი, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +407, (მ), თ

1ტიმ 1,15-17; ფს 112; ლკ 6,43-49

კეთილი კაცი თავისი ტულის კეთილი საუნჯიდან სიკეთეს ეამოიღებს ლკ 6,45

ყოველი ხე თავის ნაყოფს იძლევა. შხამიანი ხილიც არსებობს, ასე რომ ფრთხილად, ეს უვარგის ხეზე მიანიშნებს! ასევეა ადამიანებიც. ვინ არის კეთილი კაცი? ვინც კარგ ნაყოფს გთავაზობს – იესო. შენ როგორი ხარ? აცნობ იესოს მას, ვინც გიახლოვდება? ეს რომ აღვასრულოთ, გულში უნდა დავიმარხოთ მისი სიტყვები.

14 სექტემბერი

კვირა

2025

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

რიცხ 21,4-9; ფს 77; ფილიპ 2,6-11; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღეობა

ვისაც სწამს მისი...ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე იო 3,16

იერუსალიმში მიკვლეული იესოს წმიდა ჯვრის აღნიშვნა, ნიშნავს დაფიქრდე იესოს სიკვდილზე, რომელიც ამაღლდა იმ სატანჯველ იარაღზე. ამაში თავად გვეხმარება: გვაჩვენებს, რა შესთავაზა ღმერთმა მოსეს, რათა გადაერჩინა სიკვდილისგან ის მოჩივარნი, გველებმა რომ დაკბინეს. თუ რწმენის თვალებით შეხედავდნენ კეტზე დამაგრებულ უნასს, განიკურნებოდნენ. ასეა ის, ვისაც ჯვარზე ამაღლებული იესო სწამს, ავაზაკის მსგავსად, ღმერთის სიმშვიდეში შევა!

15 სექტემბერი

ორშაბათი

2025

მგლოვიარე ნეტ. ქალწ. მარიამი (მ), [ს], თ

ებრ 5,7-9; ფს 30; იო 19,25-27 ან, ლკ 2,33-35

არალში შუა ფარეხის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

შენს სულშიც ეაიგლის მახვილი ლკ 2,35

მარიამი თავისი შვილის ჯვრის ფერხთით დგას. აქ გაიხსენებს იმ სიტყვებს, რასაც გულში ინახავდა: ეს სიტყვები სიმეონმა გაუმხილა, როცა რჯულისამებრ, იოსებთან ერთად მიიყვანა ყრმა ტაძარში და ღმერთს წარუდგინა. ახლა თავიდან სწირავს მას და ეს შესაწირავი მასთან ერთად სიკვდილის ფასად უჯდება. ახლა ჭეშმარიტად განგმირულია მისი სული, მამას შესწირა ყოველი კაცის გადასარჩენად.

16 სექტემბერი

1ტიმ 3,1-13; ფს 100; ლკ 7,11-17

მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)

ნუ ტირი ლკ 7,13

როგორ არ მოთქვამდეს დედა თავისი უსიცოცხლო პირმშოს წინაშე? იესო ურყევია, მტკიცეა მისი ხმა. მან იცის, როგორ თქვას: „ახლა მე აქ ვარ, კაცთა გულებში მხოლოდ სიხარული სუფევს, თუნდაც გლოვის მიზეზი ჰქონდეთ". ის ხომ ამბობდა: „ნეტარ არიან მგლოვიარენი". ღმერთისგან ნუგეშცემულნი იქნებიან.

17 სექტემბერი

ოთხშაბათი

2025

წმ. რობერტ ბელარმინო, ეპისკოპოსი და კარდინალი, იეზუიტი, ეკლესიის მოძღვარი, +1621 რომში

წმ. ჰილდეგარდა ბინგენელი, ქალწული და ეკლესიის მოძღვარი, +1179

1ტიმ 3,14-16; ფს 110; ლკ 7,31-35

მებაჟეთა და ცოდვილთა მეგობარი

ლკ 7,34

ეს სიტყვები იესოს შეურაცხყოფის და ხალ-ხში მის მიმართ კეთილგანწყობის დაკარგვის მიზნით ითქვა. თუმცა, ამ სიტყვებით, ჩვენ ყველაზე ლამაზ ქებას ვუგზავნით მას. იგი წუ-თისოფელში მამის გულმოწყალებას მიგვრის საკუთარ ცოდვაში დამწუხრებულებს. იგი მათი ჭეშმარიტი მეგობარია, ის მეგობარი, ვინც მათ ღმერთთან ამეგობრებს!

18 სექტემბერი

ხუთშაბათი

2025

1ტიმ 4,12-16; ფს 110; ლკ 7,36-50

იფხიზლე შენს თავზე 1ტიმ 4,16

წმინდა პავლე თავისი ერთ-ერთი საყვა-
რელი მოწაფის – ტიმოთეს განსწავლაშია.
იგი უპირველესად, იესოს მოწაფეა და ამი-
ტომაც, მოძღვრის სიტყვები მასაც ეხება.
იესო ხშირად მოუწოდებდა თავისიანებს
სიფხიზლისკენ, გონივრული გრძნობებისა და
ქმედებებისკენ, რომლებიც მასზე ჭეშმარი-
ტად მოწმობენ, გააცნონ და აგემონ სამყაროს
მამის სიყვარულის მშვენიერება.

19 სექტემბერი

პარასკევი

2025

წმ. იანუარიუსი, ბენევენტოს ეპისკოპოსი, წამებული, +304

1ტიმ 6,2-12; ფს 48; ლკ 8,1-3

იყვნენ მასთან თორმეტნი ლკ 8,1

წმინდა ლუკა გვაჩვენებს, თუ როგორ გადიოდა იესოს ამქვეყნიური დღეები. სულ მუდამ გზაზე შემდგარი, რათა თავად მისულიყო იქ, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ. მარტო როდი ადგას ამ გზებს, მის გვერდით არიან თორმეტნი, რომლებიც ხარობენ კეთილი უწყებით. მათ გვერდით რამდენიმე დედაკაცია, ისინი ერთგულებით ემსახურებიან როგორც მას, ისე მის გვერდით მყოფებს.

20 სექტემბერი

შაბათი

2025

წმ. ანდრეა კიმ ტაე-გონი, ხუცესი, წმ. პავლე ჩონგ ჰა-სანგი და მათი მეგობრები, კორეაში წამებულნი +1839-1864წწ, (მ), წ

1ტიმ 6,13-16; ფს 99; ლკ 8,4-15

ისმენენ სიტყვას და იცავენ მას ლკ 8,15

იესო მოგვითხრობს იგავს, რომელსაც ჩვენ "მთესველის იგავს" ვუწოდებთ. თესლი ყველგან ცვივა, მაგრამ ყველგან როდი იძლევა ნაყოფს. ასევეა სიტყვა. ნაყოფს იმ ადამიანთა ცხოვრებაში იძლევა, ვინც უფრთხილდება. ცხადია, გვახსენდება ღვთისმშობელი მარიამი, რომელიც ყველაფერს უხმოდ ინახავდა გულში: სიტყვებს და საქმეებს. საქმეებიც ჩვენს გულში ჩაღვრილი ღმერთის სიტყვაა.

21 სექტემბერი

კვირა 2025

რიგითი XXV კვირადღე, «გ», [I], მწ

[წმ. მათე, მოციქული და მახარებელი]

ამ 8,4-7; ფს 112; 1ტიმ 2,1-8; ლკ 16,1-13

შეაქო ბატონმა ის მნე, ხერხიანად რომ მოიქცაა ლკ 16,8

იესო ჩემშიც ასეთ მოხერხებულობას ისურვებდა. ვიცი, რომ ოდესღაც დავტოვებ ამ წუთისოფელს: ისე მოვიქცევი, რომ სხვაში ჩემზე კარგად მოუბარი და მიმღები იყოს. ამას როგორ შევძლებ? მოწყალებას გავიღებ ღმერთის საყვარელ ღატაკებზე, რომლებიც უთუოდ მოხვდებიან მის სამოთხეში. მე ვიქნები მათი ქომაგი!

22 სექტემბერი

ორშაბათი

2025

ეზდ 1,1-6; ფს 125; ლკ 8,16-18

არაფინ ანთებს ლამპარს, რომ ჭურჭელი დაახურობს ზედ ლკ 8,16

იესომ თავისი სიტყვის და თავისი ცხოვრების ნათელი ჩადო ჩვენში. აღარასოდეს დაფარავს ჩვენგან! ჩვენში არსებული მისი სიტყვა ბევრს მოჰფენს ნათელს, ბევრს შეეწევა მაცხოვრის გზის პოვნაში. ამიტომაც, ყოველ მის სიტყვას გავუფრთხილდები, რათა მუდამ ანთებული იყოს ჩვენში.

23 სექტემბერი

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXV კვირა [I]

წმ. პიო პიეტრელჩინელი, ხუცესი, კაპუცინი, +1968, (მ), თ

ეზრ 6,7-8.12.14-20; ფს 121; ლკ 8,19-21

დედამენი და შენი ძმები გარეთ დგანან
და შენი ნახვა სურთ ლკ 8,20

გარეთ დგანან. ისურვებდნენ, რომ იესო
გარეთ გასულიყო მათთან... მაგრამ ეს
ხელს შეუშლიდა მისიის შესრულებაში.
ისინი აქ მისგან რაიმეს შესაცნობად კი
არ არიან, არამედ იმისათვის, რომ რაიმე
გამოითხოვონ მისგან. ხოლო იესო მხოლოდ
მამას ემორჩილება. ნუთუ მეც შევძლებ
მხოლოდ მამის ნების აღსრულებას?

24 სექტემბერი

ოთხშაბათი

2025

ეზრ 9,5-9; საგ. ტობ 13,2-5; ლკ 9,1-6

მიავლინა ისინი ღვთის სასუფევლის საუწყებლად და სნეულთა განსაკურნავად ლკ 9,2

თორმეტი! იესოს სიტყვით ებოძათ მათ ძალა და ხელმწიფება ეშმაკებზე და სნეულებებზე, ყველაფერზე, რაც კი ადამიანებს კაეშანს გვრის. უფალი გზავნის მათ ამ ძალისა და ხელმწიფების აღსასრულებლად. არაფერს წაიღებენ თან, მხოლოდ თავიანთი მიმავლინებლის ნდობას.

25 სექტემბერი

ხუთშაბათი

2025

ანგ 1,1-8; ფს 149; ლკ 9,7-9

ხელახლა ააგეთ ჩემი სახლი ანგ 1,8

მოვუსმინოთ ანგია წინასწარმეტყველს, თორმეტ მცირე წინასწარმეტყველთაგან ერთ-ერთს. ბევრი ისრაელელი დაბრუნდა ქვეყნიდან, სადაც გადაასახლეს. აღადგენენ სახლებს, მაგრამ არსად ჩანს უფლის სახლი, ადგილი, რომელიც მათ უფლის ყოფნას შეახსენებს, რომელიც მის საქებრად, საკურთხებლად და მოსასმენად მოუხმობს. ეს აუცილებელია ხალხის ჭეშმარიტი კეთილდღეობისთვის. ის იხსნის მათ!

26 სექტემბერი

პარასკევი
2025

რიგითი ჟამის XXV კვირა [I]

წმ. დიდმოწამე ქეთევანი, წამ., +1624 (მ) წ;
წმმ. კოზმა და დამიანე, წამებულნი, +IVს;

ანგ 1,15 - 2,9; ფს 42; ლკ 9,18-22

თქვენ კი რას იტყვით, ვინა ვარ მე? ლკ 9,20

იესო უკაცრიელ ადგილზე ლოცულობს. მოწაფეებმა უკვე უპასუხეს მის ერთ-ერთ კითხვას. ახლა თავიანთი რწმენა უნდა გადმოსცენ. მხოლოდ პეტრე პასუხობს: „ქრისტე ღმრთისა". მაგრამ იესო უბრძანებს, რომ არავის გაუმხილონ. არცერთმა მათგანმა არ იცის, რას ნიშნავს „ქრისტე ღმრთისა". მხოლოდ ახლა განმარტავს მას, როდესაც აცხადებს თავის ვნებას და სიკვდილს, შემდეგ კი აღდგომას. ვინც ირწმუნებს, რომ იგი ქრისტეა, ჯვრის გზაზე გაჰყვება მას.

27 სექტემბერი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის XXV კვირა [I]

წმ. ბიკენტი დე პოლი, ხუცესი, მისიის მღვდელთა (ლაზარისტების) დამაარსებელი,
+1660 პარიზში, (მ), თ

ზაქ 2,5-9.14-15a; საგ. იერ 31,10-12.13; ლკ 9,43b-45

ყველას უკვირდა ყო-ველივე,
რასაც ის აკეთებდა ლკ 9,43

მათი განცვიფრება მაშინვე ქრება, როგორც კი იესო თავის ვნებას აუწყებს. იესოსთან ყოფნა მოდა როდია, მსოფლიოს რომ მოე-წონოს. ეს არც გართობაა, ეს მზადყოფნაა, რომ სიყვარულის გულისთვის გაიღო თავი.

28 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირადღე, «გ», [II], მწ

კვირა 2025

[(15.IX) წმ. აბბა იოსებ ალავერდელი, აბატი და ეპ., +570; / წმ. ვიჩესლავი, ბოჰემიის დუკა, წამებული, +929 ან 935; / წმმ. ლავრენტი რუის და მისი მეგობრები, წამებულნი ნაგასაკიში (იაპონია), +1633–1637წწ]

ამ 6,1.4-7; ფს 145; 1ტიმ 6,11-16; ლკ 16,19-31

შენ კი იტანჯები ლკ 16,25

ამ პასუხს აბრაამის პირით გააჟღერებს იესო
იგავში, რომელიც ფარისევლებს მოუთხრო
მას მერე, რაც მდიდრებზე და სიძვაზე ესა-
უბრა. მდიდარი კაცი, რომელიც ვერ ხე-
დავს ღატაკებს, მომავალში ვერ გაიხარებს.
მისთვისაც დადგება სიკვდილის "შემდეგ"
და მისთვის ეს "შემდეგ" იქნება "ტანჯვაში".
მისსავე სიცოცხლეში სიყვარულს განუდგა,
ამიტომაც მზად არ არის მის მისაღებად.

29 სექტემბერი

ორშაბათი

2025

წმმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ
მთავარანგელოსნი, დ, [ს], თ

(16.IX) წმ. ისააკი და იოსები,
კარნუ-ქალაქში წამებულნი, +808

დან 7,9-10.13-14 ან, გამოცხ 12,7-12; ფს 137; იო 1,47-51

ამაზე მეტსაც იხილავ! იო 1,50

იესომ გამოუცხადა ნათანაელს: ღვთის ანგელოზები აღმავალი და გადმომავალი მასზე. მას ემსახურებიან და ის გააერთიანებს ცასა და მიწას, ღმერთსა და ადამიანებს. ამის ხილვა ნებისმიერ სასწაულზე დიდია. ვინც ასე გაიცნობს იესოს, მარადიული ანუ ღმრთაებ-რივი სიცოცხლე ელის.

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II]

წმ. იერონიმე, ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +420
ბეთლემში, (მ), თ

ზაქ 8,20-23; ფს 86; ლკ 9,51-56

მათ არ სურდათ მისი მიღება ლკ 9,53

სამარიელები ყველას აბრკოლებენ, ვინც იერუსალიმისაკენ მიმავალ გზას ადგება. თუმცა, ამის გამო იესო უარს როდი ამბობს წასვლაზე: ის ხომ მათ გადასარჩენადაც მიდის. ამ ფორმით გვაჩვენებს, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს მტრები, რომლებიც სხვების სიყვარულს მხოლოდ მაშინ შეძლებენ, როცა თავად მიიღებენ ამ სიყვარულს. სამარიელები ნელ-ნელა ეცნობიან იესოს და სულთმოფენობის შემდეგ, პირველებს შორის იქნებიან, ვინც მას ირწმუნებს.